

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით

With the right of manuscript

გიორგი ხატიძე

George Khatidze

საჯარო-კერძო პარტნიორობის უზრუნველყოფის
კერძოსამართლებრივი საშუალებები

Private Law Mechanisms of Implementation of

Public-Private Partnership

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი
Educational programme: Law

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
Thesis is presented for obtaining of the PhD Degree in Law

რეზიუმე

Abstract

თბილისი

Tbilisi

2021

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიორგი ხატიძე

საჯარო-კერძო პარტნიორობის უზრუნველყოფის
კერძოსამართლებრივი საშუალებები

საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი

2021

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი:
მარიამ ცისკაძე,
სამართლის დოქტორი,
პროფესორი

დისერტაციის დაცვის თარიღი გამოქვეყნდება
უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

დისერტაციის დაცვა შედგება გრიგოლ რობაქიძის
სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის
საატესტაციო - საექსპერტო კომიტეტის სხდომაზე

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ
რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკაში, თბილისი, ირინა ენუქიძის №3
(აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ).

ს ა რ ლ ე ვ ი

შესავალი	1
თავი I. საჯარო-კერძო პარტნიორობის როლი და მისი სამართლებრივი მოწესრიგების მნიშვნელობა	4
1.1. საჯარო-კერძო პარტნიორობის როლი და საფუძვლები...	4
1.2. საჯარო-კერძო პარტნიორობის განვითარება და სამართლებრივი რეგულირების თავისებურებები სხვადასხვა ქვეყნებში	6
1.3. საქართველოში საჯარო-კერძო პარტნიორობის განხორციელების სამართლებრივი მექანიზმი.....	8
თავი II. საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელები	12
2.1. არაკონცესიური საჯარო-კერძო პარტნიორობის არსი და თავისებურებანი	12
2.2. საჯარო-კერძო პარტნიორობაში შერეული ხელშეკრულების ელემენტები	13
თავი III. საჯარო-კერძო პარტნიორობის ორგანიზაციული თავისებურება	15
3.1. საჯარო-კერძო პარტნიორობის ინსტიტუციურობის არსი და სამართლებრივი მოწესრიგების მნიშვნელობა.....	15
3.2. საჯარო-კერძო პარტნიორობის განხორციელების უზრუნველყოფის სამეწარმეო-სამართლებრივი საშუალებები და კორპორაციული მართვის პრინციპები.....	16
თავი IV. კონცესია, როგორც საჯარო-კერძო პარტნიორობის უზრუნველყოფის საშუალება	18
4.1. კონცესიის, როგორც საჯარო-კერძო პარტნიორობის უზრუნველყოფის როლი და განვითარება	18
4.2. კონცესიის ხელშეკრულების საგანი და სამართლებრივი ბუნება	20

თავი V. ინვესტიცია, როგორც საჯარო-კერძო პარტნიორობის უზრუნველყოფის საშუალება	23
5.1. ინვესტიციის, როგორც საჯარო-კერძო პარტნიორობის უზრუნველყოფი როლი.....	23
5.2. საჯარო-კერძო პარტნიორობაში ინვესტიციის სამართლებრივი მოწესრიგების მნიშვნელობა და საინვესტიციო სამართლებრივი მექანიზმების განვითარება	24
5.3. ინვესტიციის დაცვის და ხელშეწყობის სამართლებრივი მექანიზმები	25
დასკვნა და რეკომენდაციები	29

შესავალი

საჯარო და კერძო თანამშრომლობა წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობას. როგორც სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობა, ისე საჯარო და კერძო თანამშრომლობა მოითხოვს სამართლებრივ რეგულირებას. საქართველოში საჯარო და კერძო თანამშრომლობის საკანონმდებლო და სამართლებრივი რეგულირების მექანიზმების განვითარებამ დღემდე გარკვეული ეტაპები გაიარა. თუმცა, მიუხედავად შესაბამისი ინსტიტუციური, საკანონმდებლო და სამართლებრივი რეგულირებისა, არსებული საკანონმდებლო ბაზა არ არის დახვეწილი და ვერ უზრუნველყოფს საჯარო და კერძო თანამშრომლობის სრულყოფილ სამართლებრივ რეგულირებას. საკანონმდებლო ბაზა ჩამორჩება საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივი რეგულირების თანამედროვე დონეს.

ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე არაერთი ქართველი მკვლევრისა და იურისტის მიერ შესრულებულია სხვადასხვა ნაშრომი საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივი რეგულირების შესახებ, სამწუხაროდ, აღნიშნული საკითხი ქართული სამართლის მეცნიერებაში არ არის სიღრმისეულად შესწავლილი.

ამდენად, აუცილებელია საჯარო-კერძო პარტნიორობის რეგულირებისა და უზრუნველყოფის სამართლებრივი საშუალებების გადახედვა და სრულყოფა. სწორედ არსებულმა ვითარებამ განაპირობა აღნიშნული საშუალებების შესწავლის აუცილებლობა.

კვლევის მიზანია შესწავლილ იქნეს საჯარო-კერძო პარტნიორობის რეალიზების, უზრუნველყოფისა და რეგულირების სამართლებრივი საშუალებები, მათი სამართლებრივი ბუნება. გამოვლენილ და გამოკვლეულ იქნეს

აღნიშნული საშუალებების კერძოსამართლებრივი ელემენტები, მათი სამართლებრივი ხარვეზები. შემუშავდეს საკანონმდებლო და სამართლებრივი მიდგომები და გადაწყვეტის გზები, რომლებიც უზრუნველყოფს საჯარო და კერძო თანამშრომლობის სრულყოფილ და ჯეროვან რეალიზებას და რეგულირებას, მიმართული იქნება სამართლის მეცნიერების შემდგომი განვითარებისთვის, ხოლო პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებული იქნება, როგორც ეფექტიანი ინსტრუმენტი. კვლევის მიზანს არ წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ტრადიციული ინსტიტუტების იურიდიული გაგების ანალიზი.

კვლევის ამოცანები განისაზღვროს საჯარო და კერძო თანამშრომლობის დეფინიცია. გამოიკვეთოს და გაანალიზდეს მისი შემადგენელი ელემენტები. შესწავლილ და გაანალიზებულ იქნეს სხვადასხვა უცხო ქვეყანაში საჯარო და კერძო თანამშრომლობის წარმოშობა და განვითარების ისტორია; მათი ინსტიტუციური, სამართლებრივი და საკანონმდებლო რეგულირებისა და მოწესრიგების თავისებურებები. შესწავლილ და გაანალიზებულ იქნეს საქართველოში საჯარო და კერძო თანამშრომლობის წარმოშობა, განვითარება, არსებული სამართლებრივი და საკანონმდებლო რეგულირება, სამართლებრივი საშუალებების გამოყენების პრაქტიკა, საჯარო და კერძო თანამშრომლობის ინსტიტუციური მოწესრიგება და სახელმწიფო პოლიტიკა. განხორციელდეს აღნიშნული კუთხით საქართველოსა და სხვა ქვეყნების შედარებითი ანალიზი. შესწავლილ იქნეს საქართველოში საჯარო და კერძო თანამშრომლობის განხორციელების სამართლებრივი საშუალებების, კერძოდ, სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულების, ინსტიტუციური საჯარო და კერძო თანამშრომლობის, კონცესიის, კერძო ინვესტიციისა და საინვესტიციო საქმიანობის არსი, სამართლებრივი ბუნება და განისაზღვროს შესაბამისი ინსტიტუტების დეფინიციები.

ჰიპოთეზა: საჯარო-კერძო პარტნიორული ურთიერთობა ჯეროვნად იქნება რეალიზებული, თუ შემუშავდება

ინოვაციური მეცნიერული მიდგომები და პრინციპები, რომლებიც გამოკვეთს საჯარო და კერძო სუბიექტებს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას, სრულყოფს ხელშეკრულების სტრუქტურას ცალკეული დებულების ორაზროვნად გაგების გამორიცხვის მიზნით; უზრუნველყოფს ინვესტიციისა და ინვესტორის სამართლებრივი დეფინიციის ახლებურ გააზრებას; შექმნის საფუძველს, შესაბამის პარტნიორ კომპანიებში, კორპორაციული მართვის სტანდარტებისა და პრინციპების შესამუშავებლად საჯარო და კერძო სექტორის უფლებებისა და მოვალეობების დაბალანსებისთვის; დაიხვეწება ინვესტიციისა და ინვესტორის სამართლებრივი დეფინიცია.

სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

კვლევის პროცესში შესწავლილი იქნა როგორც ქართველი ისე უცხოელი მკვლევრების ნაშრომები. ასევე, შესწავლილი იქნა საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციების კვლევები და სხვა გამოცემები. უნდა აღინიშნოს, რომ თემასთან დაკავშირებით ქართულენოვანი ნაშრომები საკმაოდ მწირია. თუმცა აღსანიშნავია: ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, გ. ხუბუა, ბ. ზოიძე, ი. ბურდული, ზ. გაბისონია, გ. ცერცვაძე, დ. იმნაძე, პ. ტურავა, ნ. წკეპლაძე, ზ. სუხიშვილი, ს. ჯორბენაძე, ლ. ცერცვაძე, გ. ჯუღელი, ნ. ბაქაძე, გ. კიკილაშვილი, გ. უსტიაშვილი, ქ. ქოქრაშვილი და სხვათა ნაშრომები.

უცხოური ავტორებიდან აღსანიშნავია: R. Dolzer, C. Schreuer, P. Muchlinski, K. Schefer, J. Salacuse, C. Amerasinghe, M. Moses, J. Crawford, M. Riesman, D. Fitch, P. Kelly, D. Bishop, H. Кырысь, Ю. Холодкова, Д. Засыпкин, М. Богуславский და სხვათა ნაშრომები.

საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციების კვლევებიდან და სხვა გამოცემებიდან აღსანიშნავია: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (Organisation for Economic Co-

operation and Development (OECD)), გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (United Nations Economic Commission for Europe (UNECE)), მსოფლიო ბანკი (World Bank), გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD)), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (International Monetary Fund (IMF)), აზიის განვითარების ბანკი (Asian Development Bank (ADB)), საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრი (International Centre for Settlement of Investment Disputes (ICSID)) და სხვა.

მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა

მოცემული კვლევის საფუძველია ზოგადმეცნიერული და კერძო მეთოდები: ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი, დოკუმენტური და სხვა. წარმოდგენილია ინფორმაციულ-შემეცნებითი, შედარებით-სამართლებრივი ელემენტები. გამოყენებულია სტატისტიკური, ანალიტიკური და ლოგიკური ანალიზის მეთოდები.

თავი I. საჯარო-კერძო პარტნიორობის როლი და მისი

სამართლებრივი მოწესრიგების მნიშვნელობა

1.1. საჯარო-კერძო პარტნიორობის როლი და საფუძვლები

საჯარო-კერძო პარტნიორობა წარმოადგენს ურთიერთსასარგებლო, თანაზიარ და საკმაოდ კომპლექსურ თანამშრომლობას, რა დროსაც მხარეებს ერთმანეთის მიმართ წარმოემუშავათ შესაბამისი უფლებები და მოვალეობები, მოითხოვს მხარეთა მიერ შესაბამისი გარანტიებისა და პასუხისმგებლობების არსებობას. საჯარო და კერძო

თანამშრომლობა როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკაში, მისი სპეციფიურობისა და მისთვის დამახასიათებელი ელემენტების გათვალისწინებით, სამართლებრივი ურთიერთობების სიმრავლით, კომპლექსურობითა და მრავალბუნებიაანობით ხასიათდება. წარმატებული და სრულყოფილი საჯარო-კერძო პარტნიორობა მოითხოვს როგორც საჯარო, ისე კერძოსამართლებრივ ელემენტებს, ამ ურთიერთობის რეგულირებისა და მოწესრიგების შესაბამის სამართლებრივ საშუალებებს.

საჯარო-კერძო პარტნიორობა სხვადასხვა საშუალებებით, კერძოდ, სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულებებით, ინსტიტუციური საჯარო და კერძო თანამშრომლობებით და კონცესიებით რეალიზდება. გარდა ამისა, საჯარო და კერძო თანამშრომლობაში კერძო სექტორის მონაწილეობა და მისი ჩართულობა უმეტეს შემთხვევაში არ შემოიფარგლება მხოლოდ ეკონომიკური, სამეწარმეო საქმიანობით და აღნიშნული ამავდროულად კერძო ინვესტიციას და საინვესტიციო საქმიანობას წარმოადგენს.

საჯარო-კერძო პარტნიორობის სამართლებრივ მოწესრიგებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საჯარო და კერძო თანამშრომლობის დეფინიციას, მის განმარტებას. იურიდიულ მეცნიერებასა და კანონმდებლობაში ჯერჯერობით არ შემუშავებულია საჯარო და კერძო თანამშრომლობის ერთიანი, უნიფიცირებული დეფინიცია. თუმცა საჯარო და კერძო თანამშრომლობის სწორი აღქმისთვის, მის არსში გარკვევისთვის, პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს ამ თანამშრომლობის, ამ ურთიერთობის შემადგენელი ელემენტები.

საჯარო და კერძო თანამშრომლობა გულისხმობს ყოველთვის და მხოლოდ – საჯარო და კერძო სუბიექტებს შორის არსებულ ურთიერთობას, ანუ ეს არის ურთიერთობა, რომელშიც მონაწილეობს როგორც საჯარო ისე კერძო სუბიექტი. საჯარო

და კერძო თანამშრომლობაში არსებობს **მმართველობის** ელემენტი.

საჯარო და კერძო თანამშრომლობისთვის ასევე დამახასიათებელია **ნებაყოფლობითობის** ელემენტი. საჯარო და კერძო თანამშრომლობის ერთი მხარე ყოველთვის კერძო სუბიექტია, რომელიც გადაწყვეტილებას სახელმწიფოსთან, როგორც საჯარო სუბიექტთან თანამშრომლობის დაწყების შესახებ იღებს ნებაყოფლობით და ამგვარ პარტნიორობას ამყარებს შემოსავლის, ფინანსური სარგებლის და მოგების მიღების მიზნით. ამრიგად, **შემოსავლის მიღება** წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ელემენტს.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის კედევ ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ასეთი თანამშრომლობის **ხანგრძლივობა**. საჯარო და კერძო თანამშრომლობის ელემენტს წარმოადგენს ასევე თანამშრომლობის ფარგლებში არსებული **რისკები** და მხარეთა შორის ამ რისკების განაწილება.

1.2. საჯარო-კერძო პარტნიორობის განვითარება და

სამართლებრივი რეგულირების თავისებურებები სხვადასხვა

ქვეყნებში

სხვადასხვა ქვეყანაში საჯარო და კერძო თანამშრომლობის განვითარება სხვადასხვა დროს დაიწყო. საჯარო და კერძო თანამშრომლობის განვითარების და მისი სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით, ქვეყნები გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. საკანონმდებლო რეგულირების კუთხით გვხვდება ქვეყნები, სადაც მოქმედებს საჯარო და კერძო თანამშრომლობის სპეციალური კანონები. საჯარო და კერძო თანამშრომლობის სპეციალური კანონები უფრო ხშირად

გვხვდება კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში. თუმცა, რიგ ქვეყნებში საჯარო და კერძო თანამშრომლობის სპეციალური კანონები არ არსებობს და ამ ურთიერთობის მოწესრიგება სხვა კანონებით, შესაბამისი ნორმებით, ასევე კონცესიებითა და საჯარო და კერძო თანამშრომლობის სხვადასხვა ხელშეკრულებით ხდება. იმ ქვეყნების ჩამონათვალში, რომელთაც საჯარო და კერძო თანამშრომლობის კანონი არ გააჩნია შედის ავსტრალია, ბრიტანეთი.

რიგ ქვეყნებში ასევე გვხვდება ინსტიტუციური საჯარო და კერძო თანამშრომლობები, რომელთა ფორმირება სხვადასხვა მოდელით და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ხდება, მათ შორისაა საჯარო და კერძო სექტორის მონაწილეობით ფორმირებული ერთობლივი საწარმო, სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა, შეზღუდული ამხანაგობა და სხვა. ასეთი ქვეყნების ჩამონათვალშია გერმანია, პორტუგალია, ესპანეთი, რუმინეთი, ლიეტუვა, სერბეთი, ბრიტანეთი, ხორვატია, ყაზახეთი.

საჯარო და კერძო თანამშრომლობების სამართლებრივი რეგულირების გარკვეული თავისებურებები არსებობს კონტინენტური სამართლისა და საერთო სამართლის ქვეყნებში. სამართლებრივი რეგულირების თავისებურებების განხილვისას გასათვალისწინებელია სახელმწიფო მოწყობის ფორმებიც. ფედერალურ სახელმწიფოებში გვხვდება როგორც ფედერალური კანონები, ისე ადგილობრივი რეგულაციები.

1.3. საქართველოში საჯარო-კერძო პარტნიორობის

განხორციელების სამართლებრივი მექანიზმი

საქართველოში 2018 წლიდან მოქმედებს სპეციალური კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ. მართალია ჯერ კიდევ საკმაოდ მცირე სფეროებში, თუმცა კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის გარკვეული მოდელების შესაბამისი ურთიერთობა საჯარო და კერძო სექტორს შორის პრაქტიკაში გაცილებით ადრე გვხვდება, ვიდრე მიღებული იქნებოდა აღნიშნული კანონი.

კანონის თანახმად, საჯარო და კერძო თანამშრომლობა რეალიზდება კონცესიით, ინსტიტუციური საჯარო და კერძო თანამშრომლობით, არაკონცესიური საჯარო და კერძო თანამშრომლობით, შესაბამისი მოდელებითა და ხელშეკრულებებით.

საკანონმდებლო რეგულირების თვალსაზრისით ერთ-ერთ საკვანძო საკვანძო წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის განმარტება. „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, საჯარო და კერძო თანამშრომლობას ფაქტობრივად აიგივებს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტთან და გვთავაზობს საჯარო და კერძო თანამშრომლობის იმგვარ განმარტებას, რომელიც ფრაგმენტულადაა გადმოცემული კანონის სხვადასხვა დებულებაში და სადაც ასევე გათვალისწინებულია ამ ურთიერთობის შემადგენელი გარკვეული ელემენტები. აღრუულია კონკრეტული ტერმინები, მათი განმარტებები და განმარტებების ადგილები. აღნიშნული კი არასწორია არც სამართლებრივ-თეორიული და არც პრაქტიკული თვალსაზრისით; არ შეესაბამება იურიდიული ტექნიკის მოთხოვნებს და არ მოდის შესაბამისობაში იმ საუკეთესო

საერთაშორისო პრაქტიკასთან, რომელიც საჯარო და კერძო თანამშრომლობის კანონების მომზადებასთან დაკავშირებით არსებობს.

აღნიშნული ვერ მიიჩნევა ტექნიკურ ხარვეზად, რადგან საკითხი ეხება, პირველ რიგში, საჯარო და კერძო თანამშრომლობის, როგორც სპეციფიკური და კომპლექსური სამართლებრივი ურთიერთობის განმარტების საკითხს. მით უმეტეს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არ არსებობს ამ ტერმინის ერთიანი, უნიფიცირებული განმარტება და ქვეყნები, რომლებშიც მოქმედებს საჯარო და კერძო თანამშრომლობის სპეციალური კანონები, ცდილობენ მაქსიმალურად მკაფიოდ მოახდინონ ამ ტერმინის დეფინიცია.

კანონში მოცემულ განმარტებებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი საკითხი. „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ კანონის მიხედვით, საჯარო და კერძო თანამშრომლობის განხორციელების ერთ-ერთ საშუალებას კონცესია წარმოადგენს. კონცესია (*concessio*), ზოგადად ნებართვას, დათმობას, გარკვეული სამრეწველო ობიექტების ექსპლუატაციის, წიაღისეულის ათვისების უფლებას ნიშნავს. რაც შეეხება „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ კანონს, აღნიშნული კანონის მიხედვით, კონცესიისა და კონცესიის ხელშეკრულების განმარტების ხარვეზი ისაა, რომ განმარტებიდან არ ჩანს კონცესიის, როგორც დამოუკიდებელი და საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიის მქონე სამართლებრივი ინსტიტუტის, იურიდიული ბუნება და იმანენტურობა. განმარტებებში ფაქტობრივად მოცემულია საკონცესიო ურთიერთობების სახელშეკრულებო პირობები, როგორებიცაა: ხელშეკრულების საგანი (საჯარო მიწები), გადახდის პირობები (ანაზღაურების მექანიზმი) და ერთ-ერთი მხარის გარკვეული ვალდებულებები (საოპერაციო და სხვა რისკები).

საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფარგლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს აღნიშნული თანამშრომლობისას არსებული რისკები და საჯარო და კერძო პარტნიორებს შორის რისკების განაწილების მექანიზმები.

მიუხედავად იმისა, რომ კანონით შემოთავაზებულია რისკების ოპტიმალური განაწილების მექანიზმი, როგორც ერთგვარი პრინციპი, რომელიც თავისი არსით მართებულია, რისკებთან დაკავშირებული ძირითადი ხარვეზი რისკების განსაზღვრისა და მათი იდენტიფიცირების საკითხს უკავშირდება. რისკების მართვა და განაწილება საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას, რადროსაც მხოლოდ სპეციალური კანონი საკმარისი არ არის და აუცილებელია სხვა საკანონმდებლო და სამართლებრივი მექანიზმების მოშველიებაც, მაგრამ ამავდროულად, საჭიროა, რომ სპეციალური კანონით – ამ შემთხვევაში „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ კანონით – მოხდეს რისკების განსაზღვრა და მათი იდენტიფიცირება. მართალია, ყველა სახის რისკის კანონით წინასწარ განსაზღვრა და იდენტიფიცირება საკმაოდ რთულია, მაგრამ აჯობებს, რომ ძირითადად მხოლოდ ფისკალურ რისკებზე არ მოხდეს აქცენტირება და მეტი მითითება გაკეთდეს თუნდაც იმ რისკებზე და თუნდაც მინიმალური რაოდენობით, რომლებიც უფრო მეტად დამახასიათებელია იმ სექტორებისა და სფეროებისთვის, სადაც საქართველოში საჯარო და კერძო თანამშრომლობის განვითარების მეტი პერსპექტივა არსებობს და პრიორიტეტულია საქართველოსთვის; ამავდროულად აღნიშნული თანაბრად აისახოს საჯარო და კერძო თანამშრომლობის რეალიზების ყველა მოდელზე, რომელიც გათვალისწინებულია „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ კანონით. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად და საჭიროდ უნდა იქნეს მიჩნეული განსაკუთრებით საქართველოში, რადგან აქ საჯარო და კერძო თანამშრომლობა მისი განვითარების ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა. სპეციალური კანონი ერთგვარი მთავარი სახელმძღვანელო მექანიზმია პოტენციური ინვესტორებისთვის, რომელიც მათ მთავარ და მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმს სთავაზობს საჯარო

და კერძო თანამშრომლობის საკანონმდებლო და სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით.

„საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი იცნობს ინსტიტუციურ საჯარო და კერძო თანამშრომლობას, რომელიც აღნიშნული კანონის მიხედვით ხორციელდება ინსტიტუციური საჯარო და კერძო თანამშრომლობის კომპანიის მეშვეობით. რაც შეეხება ინსტიტუციურ საჯარო და კერძო თანამშრომლობის კომპანიას, იგი გულისხმობს საჯარო და კერძო თანამონაწილეობით და განსაზღვრული მიზნით შექმნილ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებულ იურიდიული პირის.

„საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი და „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების შემუშავებისა და განხორციელების წესი“ ბუნდოვანია საჯარო და კერძო თანამშრომლობის კომპანიის ტიპებთან და ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებთან დაკავშირებით. მრავალ ქვეყანაში მოქმედი კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ, ინსტიტუციური საჯარო და კერძო თანამშრომლობის კომპანიებთან მიმართებით პირდაპირ აკონკრეტებს ამ კომპანიების ტიპებს და მათ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს. მსგავსი მიდგომა გაცილებით მეტ სამართლებრივ სიცხადესა და განჭვეტადობას სძენს კანონს, რაც საქართველოს შემთხვევაში გათვალისწინებული არ არის.

თავი II. საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელები

2.1. არაკონცესიური საჯარო-კერძო პარტნიორობის არსი და

თავისებურებანი

გარდა საკონცესიო და ინსტიტუციური საჯარო და კერძო თანამშრომლობისა, თანამედროვე საჯარო და კერძო თანამშრომლობა რეალიზდება სხვადასხვა მოდელითა და საშუალებით, რომელთა მოწესრიგებაც შესაბამისი ხელშეკრულებებით ხორციელდება.

აღნიშნული მოდელების შესაბამისი ხელშეკრულებების საგნის განსაზღვრა დამოკიდებულია იმ ურთიერთობებსა და ელემენტებზე, რომელსაც ითვალისწინებს თავად შესაბამისი მოდელი. საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფარგლებში აღნიშნული მოდელების გამოყენებისას მხარეთა შორის საკმაოდ კომპლექსური და მრავალზუნებიანი სამართლებრივი ურთიერთობები ყალიბდება. აღნიშნული მოდელების ურთიერთგანმასხვავებელ ელემენტებს წარმოადგენს ქონებაზე საკუთრების უფლება; ინვესტიციის და კაპიტალაზანდების ვალდებულება; რისკების განაწილება; ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის რეალიზების მოდელებიდან და შესაბამისი ხელშეკრულებებიდან აღსანიშნავია მშენებლობა-ოპერირება-გადაცემა (**Build-Operate-Transfer (BOT)**); მშენებლობა-ფლობა-ოპერირება-გადაცემა (**Build-Own-Operate-Transfer (BOOT)**); დიზაინი-მშენებლობა-დაფინანსება-ოპერირება (**Design-Build-Finance-Operate (DBFO)**); მშენებლობა-ფლობა-ოპერირება (**Build-Own-Operate (BOO)**).

თანამედროვე საჯარო-კერძო პარტნიორობა საჯარო და კერძო სექტორის კომპლექსური და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობაა. ამგვარი ურთიერთობების საგანი არის ისეთი ობიექტები და საქმიანობა, რომელიც მხოლოდ საჯარო ან მხოლოდ კერძოსამართლებრივი მექანიზმებით ვერ წესრიგდება. შესაბამისად, ზემოაღნიშნული მოდელების, როგორც საჯარო და კერძო თანამშრომლობის საშუალებების იმანენტურობა ხასიათდება როგორც საჯარო ისე კერძოსამართლებრივი ელემენტებით.

2.2. საჯარო-კერძო პარტნიორობაში შერეული ხელშეკრულების

ელემენტები

საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებები თავად იმ ბუნებიდან გამომდინარე, რაც ახასიათებს საჯარო და კერძო სექტორს შორის არსებულ ურთიერთობას, საკმად კომპლექსური ხელშეკრულებებია. აღნიშნული ხელშეკრულებები სამართლებრივი თვალსაზრისით არაერთბუნებიანობით ხასიათდება და სხვადასხვა სახელშეკრულებო ურთიერთობისთვის დამახასიათებელი ელემენტებისგან შედგება.

ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების, საბაზრო ეკონომიკის პირობებში კერძო სექტორისთვის ფართო ეკონომიკური და სამეწარმეო საქმიანობის შესაძლებლობების გაჩენის, ეკონომიკის გაჯანსაღებაში მათი ინვესტიციების, ფინანსური თუ სხვა სახის რესურსის ჩართვისა და მოშველიების მიზნით სხვადასხვა ქვეყანაში აქტიურად გამოიყენება საჯარო და კერძო თანამშრომლობის ზემოაღნიშნული მოდელები და ხელშეკრულებები. აღნიშნულ შემთხვევებში საჯარო და კერძო მხარეთა ურთიერთობის ობიექტების კომპონენტებს ფართო სპექტრი გააჩნია. შესაბამისად, საჯარო და კერძო თანამშრომლობის

ხელშეკრულებათა საგანს წარმოადგენს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის შესრულება, სხვადასხვა ობიექტის მშენებლობა, კომუნიკაციების მოწყობა, რეაბილიტაცია, სამედიცინო, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამისი მომსახურების გაწევა და სხვა ისეთი საქმიანობა, რომელიც სახელმწიფოს ექსკლუზიურ კომპეტენციას არ განეკუთვნება.

რაც შეეხება „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონს, არაკონცესიური საჯარო და კერძო თანამშრომლობა არის „საჯარო და კერძო თანამშრომლობა, რომლის დროსაც არაკონცესიური საჯარო და კერძო თანამშრომლობის საფუძველზე კონტრაქტორი მის მიერ საჯარო მომსახურების გაწევის ან/და საჯარო ინფრასტრუქტურის მიწოდების სანაცვლოდ ანაზღაურებას იღებს საჯარო პარტნიორისგან და რომელიც იმავდროულად არ არის კონცესია აღნიშნული კანონის შესაბამისად“. ხოლო არაკონცესიური საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულება არის „საჯარო პარტნიორსა და კონტრაქტორს შორის დადებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულება არაკონცესიური საჯარო და კერძო თანამშრომლობის თაობაზე“, ე.ი. „საჯარო მომსახურების გაწევა“ და „საჯარო ინფრასტრუქტურის მიწოდება“ წარმოადგენს ასეთი ურთიერთობის საგნის ძირითად ელემენტს. შესაბამისად, „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით არაკონცესიური საჯარო და კერძო თანამშრომლობა კონცესიისგან, რომლის იმანენტურობა განსაზღვრულია, როგორც საჯაროსამართლებრივი ბუნების მატარებელი, განსხვავდება მხოლოდ გადახდის პირობით. კონცესიის შემთხვევაში კონცესიონერის ანაზღაურება ხდება საბოლოო მომხმარებლის ან საჯარო პარტნიორისა და საბოლოო მომხმარებლისგან. ხოლო არაკონცესიური საჯარო და კერძო თანამშრომლობის შემთხვევაში კონტრაქტორის მიერ ანაზღაურების გადახდა ხდება მხოლოდ საჯარო პარტნიორის მიერ. ანაზღაურების გადახდის პირობები კი არ უკავშირდება იურიდიულ

კატეგორიებს და ვერ იქნება ამა თუ იმ ხელშეკრულების იურიდიული ბუნების განმსაზღვრელი ნიშანი, მით უმეტეს სამართლებრივი ინსტიტუტის იურიდიული ბუნებისა. ვინაიდან ჯერ უნდა განისაზღვროს სამართლებრივი ინსტიტუტის დეფინიცია და შინაარსი, ხოლო შემდეგ უნდა დაიდოს მისი შესაბამისი ხელშეკრულება.

თავი III. საჯარო-კერძო პარტნიორობის ორგანიზაციული

თავისებურება

3.1. საჯარო-კერძო პარტნიორობის ინსტიტუციურობის არსი და

სამართლებრივი მოწესრიგების მნიშვნელობა

ინსტიტუციურ საჯარო და კერძო თანამშრომლობას რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი გააჩნია, რომელიც ნათელს ჰფენს მის არსს. პირველი – ორგანიზაციული წარმონაქმნი ინსტიტუციური საჯარო და კერძო თანამშრომლობის კომპანიის სახით, რომელსაც თავისი კონკრეტული მიზანი და ფუნქცია აკისრია. მეორე – ასეთი წარმონაქმნის ფარგლებში და მის ქვეშ ორი სხვადასხვა – საჯარო და კერძო – სექტორის მონაწილეობა, მათი ურთიერთთანამშრომლობა და ურთიერთქმედება. მესამე – აღნიშნული ორგანიზაციული წარმონაქმნი სამართლებრივი და სხვა შესაბამისი მექანიზმების საფუძველზე, მათ შორის სახელმწიფოსთან შესაბამისი ხელშეკრულებით, ახდენს სხვადასხვა საჯარო პროექტების განხორციელებას და მომსახურების გაწევას.

ინსტიტუციური საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფარგლებში ორივე მხარე – როგორც საჯარო ისე კერძო სექტორი – მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და საჯარო და კერძო თანამშრომლობის კომპანიის

მართვაში. საჯარო და კერძო სექტორი განსხვავებული ნიშან-თვისებების მქონე სუბიექტები არიან, მათ შორის მათი ინტერესების და მიზნების გათვალისწინებით. შესაბამისად, აღნიშნული განსხვავებულობა განაპირობებს საჯარო და კერძო თანამშრომლობის კომპანიაში პრაქტიკული თვალსაზრისით სხვადასხვა სირთულეების გამოვლენას. ეს სირთულეები გულისხმობს არა მხოლოდ ზოგადად ინტერესთა კონფლიქტს, არამედ სირთულეებს გადაწყვეტილებების მიღების დროს.

ერთიანი ინსტიტუციური საჯარო და კერძო თანამშრომლობისას საჯარო და კერძო მხარეთა შორის ადგილი აქვს როგორც ჰორიზონტალურ ისე ვერტიკალურ ურთიერთობებს. აღნიშნული ურთიერთობების სრულყოფილი სამართლებრივი მოწესრიგება კი განაპირობებს ეფექტიან ინსტიტუციურ საჯარო და კერძო თანამშრომლობას, რაც თავის მხრივ წარმოადგენს წარმატებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის წინაპირობას.

3.2. საჯარო-კერძო პარტნიორობის განხორციელების

უზრუნველყოფის სამეწარმეო-სამართლებრივი საშუალებები და

კორპორაციული მართვის პრინციპები

ინსტიტუციური საჯარო და კერძო თანამშრომლობის, როგორც საჯარო-კერძო პარტნიორობის ერთ-ერთი მოდელის რეალიზებაში მნიშვნელოვანი დატვირთვა გააჩნია სამეწარმეო-სამართლებრივ საშუალებებს და კორპორაციული მართვის სტანდარტებსა და პრინციპებს.

საწარმოთა კორპორაციულ მართვაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სამეთვალყურეო საბჭოს უკავია.

სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციონალური დატვირთვა ინსტიტუციური საჯარო და კერძო თანამშრომლობის კომპანიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აღნიშნული ინსტიტუტი, თავის მხრივ, განაპირობებს საჯარო და კერძო თანამშრომლობის კომპანიის, როგორც საჯარო და კერძო სამართალურთიერთობის სუბიექტის ეფექტიანობას, რაც ხელს უწყობს წარმატებულ საჯარო და კერძო თანამშრომლობას. საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფარგლებში ინსტიტუციური საჯარო და კერძო თანამშრომლობისას სამეთვალყურეო საბჭოს ამავდროულად გააჩნია საჯარო და კერძო თანამშრომლობის მონაწილე კერძო სუბიექტის, მისი ინტერესის და მიზნის დაცვის და ხელშეწყობის ერთგვარი ფუნქცია და დატვირთვა. აღნიშნულ შემთხვევაში ეფექტიანად ფუნქციონირებადი სამეთვალყურეო საბჭო იმ კერძოსმართლებრივ საშუალებად გვევლინება, რომელიც ხელს უწყობს საჯარო და კერძო თანამშრომლობის წარმატებით რეალიზებას.

შესაბამისად, ინსტიტუციური საჯარო და კერძო თანამშრომლობის კომპანიის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა უნდა იყოს არა „შესაძლებელი“, ანუ ერთგვარი „ოფციის“ მოცემულობაში მყოფი, არამედ სავალდებულო, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და ასევე „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით. ამავდროულად, ზემოაღნიშნულ გარემოებათა მხედველობაში მიღებით, სამეთვალყურეო საბჭოს დაკომპლექტება სასურველია საჯარო და კერძო სექტორს შორის პარიტეტულ საწყისებზე მოხდეს.

საწარმოთა კორპორაციული მართვის ქრილში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საკითხს იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება იყვნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა შემთხვევა, როდესაც საზოგადოების დირექტორი ამავდროულად იკავებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობას. აღნიშნული

გარემოება, თავის მხრივ, წარმოშობს რისკს, რომ შესუსტდეს და გარკვეულწილად არაეფექტიანი გახდეს სამეთვალყურეო საბჭოს ის მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც გამოიხატება დირექტორების საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელებასა და დირექტორატის საქმიანობაზე კონტროლში.

იმ კომპანიაში, სადაც მოქმედებს სამეთვალყურეო საბჭო და მკაფიოდ არის ერთმანეთისგან გამიჯნული სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების კომპეტენციები, უფლებები და მოვალეობები, ინსტიტუციური აღრევის შესაძლებლობა მინიმალურია. მაგრამ, მაშინ, როდესაც კომპანიის დირექტორი პარალელურად სამეთვალყურეო საბჭოს წევრია, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირი წარმოადგენს სახელმწიფოს წარმომადგენელს, სწორედ აქ წარმოიშობა სახელმწიფოს „ყოვლისშემძლეობის“ გამოვლინების რისკი, რამაც შესაძლოა კერძო ინტერესი დაჩრდილოს და კომპანიის კერძო პარტნიორების უფლებები შელახოს. ასეთ შემთხვევებში მართვისა და კონტროლის უფლებები აღრეულია და მაკონტროლებლად გვევლინება ის პირი, ვისზედაც კონტროლი უნდა განხორციელდეს.

თავი IV. კონცესია, როგორც საჯარო-კერძო პარტნიორობის

უზრუნველყოფის საშუალება

4.1. კონცესიის, როგორც საჯარო-კერძო პარტნიორობის

უზრუნველმყოფი როლი და განვითარება

საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფარგლებში სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის დამყარებული საკონცესიო ურთიერთობის საფუძველზე, კერძო სექტორს,

კერძო საწარმოს, როგორც კონცესიონერს სახელმწიფოსგან გარკვეული პირობებით გადაეცემა შესაბამისი ინფრასტრუქტურული და საზოგადოებრივი ობიექტების, სამრეწველო საწარმოების მშენებლობის, რეაბილიტაციის და შესაბამისი დროის მანძილზე მათი მართვის, ოპერირების, ექსპლუატაციის და სხვა უფლებები, ასევე უფლება იმისა, რომ კონცესიით დადგენილი პირობებითა და ვადით კონცესიონერმა მიიღოს მის მიერვე შესრულებული ობიექტის მართვის და მისი ექსპლუატაციის შედეგად მიღებული შემოსავალი.

კონცესიის ინსტიტუტი არ წარმოადგენს სიახლეს საქართველოსთვის.

როდესაც საჯარო და კერძო სექტორს შორის გარკვეული ურთიერთობები წარმოიშობა და ყალიბდება, კვლევის საგანი ხდება ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი მექანიზმები და ინსტიტუტები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კონცესიის, როგორც საჯარო და კერძო თანამშრომლობის უზრუნველყოფი სამართლებრივი ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნების, მისი განვითარებისა და კონცესიის მომწესრიგებელი ნორმების საკითხი. კონცესიის სამართლებრივ ბუნებასთან მიმართებით გამოკვეთილ იქნა შემდეგი თეორიები: ა) კონცესია როგორც ადმინისტრაციული აქტი; ბ) კონცესია როგორც შერეული აქტი (მოიცავს ადმინისტრაციულ აქტს და მხარეთა შეთანხმებას); და გ) კონცესია როგორც ხელშეკრულება.

დღევანდელ ქართულ სამართლებრივ რეალობაში, კონცესიის ადგილი საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფარგლებშია. ანუ, კონცესია, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, დღეს არსებობს მხოლოდ საჯარო და კერძო თანამშრომლობის ქუდ ქვეშ. ასეთია კონცესიის საკანონმდებლო რეგლამენტაცია, რაც, თავის მხრივ, აისახება კონცესიის პრაქტიკულ-სამართლებრივ ასპექტებზე. ამგვარად, კონცესია სამართლებრივი

თვალსაზრისით დანახულ უნდა იქნეს, როგორც სპეციფიური ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლის ინსტიტუტი და საჯარო და კერძო თანამშრომლობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება, რომლის განხორციელების პროცესი მოითხოვს როგორც კერძოსამართლებრივ, ისე საჯაროსამართლებრივ საშუალებებს.

4.2. კონცესიის ხელშეკრულების საგანი და სამართლებრივი

ბუნება

კონცესიის ხელშეკრულება, კონცესიის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის გამოხატვის და რეალიზების ფორმაა. კონცესიის ხელშეკრულება ითვალისწინებს კერძო სექტორის მიერ მნიშვნელოვანი ფულადი თუ სხვა სახის დანახარჯების გაწევას, სამუშაოების შესრულებას, მომსახურების გაწევას და შესაბამისი ვალდებულებების შესრულებას იმ ობიექტებთან მიმართებაში, რომელიც უკვე არსებობს და სახელმწიფოს საკუთრებაშია. კონცესიის ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს ახალი ობიექტების მშენებლობას, არსებული ობიექტების რეაბილიტაციას, კონცესიონერის მიერ შესაბამისი სამუშაოების შეასრულებას და მომსახურების გაწევას, მის მიერ ახლადშექმნილი ობიექტების ექსპლუატაციას, მართვას, მომსახურებას რა დროსაც კონცესიონერი ანაზღაურებას იღებს საბოლოო მომხმარებლისგან ან სახელმწიფოს და საბოლოო მომხმარებლისგან.

კონცესიის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების შესახებ საკმაოდ განსხვავებული თეორიები არსებობს, კერძოდ: ა) თეორია, რომელიც საკონცესიო შეთანხმებას განიხილავს როგორც ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას; ბ) თეორია, რომელიც საკონცესიო შეთანხმებას განიხილავს როგორც ხელშეკრულებას, რომელშიც გაერთიანებულია

კერძოსამართლებრივი და საჯაროსამართლებრივი ელემენტები და შესაბამისად, კონცესიის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება არაერთგვაროვანი და კომპლექსურია. აღნიშნული თეორიის თანახმად, კონცესიის ხელშეკრულება წარმოადგენს თავისებური სახის ხელშეკრულებას (**sui generis**), ის ხელშეკრულების სხვა, დამოუკიდებელი სახეა; გ) თეორია, რომელიც საკონცესიო შეთანხმებას განიხილავს როგორც კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებას.

თუ გადავხედავთ კაცობრიობის განვითარების ისტორიას, შესამჩნევია, რომ კონცესიას და საკონცესიო ურთიერთობებს ადგილი ჰქონდა მაშინ, როდესაც საჭირო იყო გარკვეული ტიპის საზოგადოებრივი, ტექნოლოგიური, ეკონომიკური ურთიერთობების აღმასვლა. სწორედ ამ მიზნით, ხელისუფალი იშველიებდა კერძო პირს, რა დროსაც მათ შორის საკონცესიო ურთიერთობა ყალიბდებოდა. შემთხვევითობა არაა, რომ კონცესიის ხელშეკრულებებს რიგი მკვლევარები ხშირად „ეკონომიკური განვითარების ხელშეკრულების“ სახელწოდებით მოიხსენიებენ. კონცესია და საკონცესიო ხელშეკრულება თავისი არსით გამოხატულებაა საჯარო და კერძო ინტერესის თანხვედრის და რიგ შემთხვევებში აღნიშნული ინტერესების შეპირისპირებისა. სწორედ ამიტომ, კონცესია და კონცესიის ხელშეკრულება მოიცავდა და დღესაც მოიცავს როგორც საჯარო ისე კერძოსამართლებრივ ელემენტებს. ანუ კონცესიის ხელშეკრულების იმანენტურობა, როგორც საჯარო, ისე კერძოსამართლებრივია. ასეთი მოცემულობაა ჩადებული კონცესიის ერთგვარ „გენეზისში“, რომელიც ჯერჯერობით უცვლელია. კონცესიის ხელშეკრულება კი თავისი სამართლებრივი ბუნებით და არსით ჰომოგენური, თავისებური ტიპის ხელშეკრულებაა, რომელიც ბოლომდე არც ადმინისტრაციულ და არც სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებას მიეკუთვნება.

კონცესიისა და საკონცესიო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების გამიჯვნას, თეორიული მოწესრიგებულობის გარდა აქვს არსებითი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან საჯარო და

კერძო სამართლებრივი მექანიზმები სხვადასხვა საკანონმდებლო გზებზე გადის და განსხვავებულად წესრიგდება მხარეთა უფლება-მოვალეობები, დაცვის საკანონმდებლო გარანტიები, სასამართლო განსჯადობა და დაცვის სხვა ქვეყანაში განხილვის შესაძლებლობები. ამრიგად, საჯარო და კერძო თანამშრომლობის კერძოსამართლებრივ საშუალებათა რიგში კონცესიის ჩაყენება დამოკიდებულია მისი სამართლებრივი ბუნების გამოვლენაზე.

რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, კონცესია და კონცესიის ხელშეკრულების ბუნება განსაზღვრულია, როგორც საჯაროსამართლებრივი ბუნების მატარებელი, რადგან „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კონცესია არის „საჯარო და კერძო თანამშრომლობა, რომლის დროსაც კონცესიის ხელშეკრულების საფუძველზე კონცესიონერი მის მიერ გაწეული საჯარო მომსახურების სანაცვლოდ ანაზღაურებას პირდაპირ ან ირიბად იღებს საბოლოო მომხმარებლისგან ან საჯარო პარტნიორისა და საბოლოო მომხმარებლისგან და რომლის ფარგლებშიც კონცესიონერი საკუთარ თავზე იღებს მნიშვნელოვან საოპერაციო რისკს, რომელიც მოიცავს მოთხოვნის რისკს ან/და მიწოდების რისკს“, ე.ი. „საჯარო მომსახურების“ გაწევა არის ასეთი ურთიერთობის საგანის ძირითადი ელემენტი. აღნიშნულ პოზიციას ამყარებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის განმარტება ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესახებ. კერძოდ, მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება“.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფართო სპექტრით გაშლისა და განვითარებისათვის კონცესიის საჯაროსამართლებრივი ბუნება უფრო ეფექტური იქნება, თუ

კერძოსამართლებრივი, დამოკიდებულია საქმიანობის პრაქტიკასა და სახელმწიფო პოლიტიკაზე.

თავი V. ინვესტიცია, როგორც საჯარო-კერძო პარტნიორობის

უზრუნველყოფის საშუალება

5.1. ინვესტიციის, როგორც საჯარო-კერძო პარტნიორობის

უზრუნველმყოფი როლი

საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფარგლებში კერძო სექტორის, კერძო ინვესტორის მიერ საკმაოდ მასშტაბური, გრძელვადიანი და მსხვილი საინვესტიციო პროექტები სრულდება.

„საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია საჯარო და კერძო თანამშრომლობის კრიტერიუმები, რომლებიც საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ კერძო სექტორის, მათ შორის კერძო ინვესტორის როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური რესურსის მოშველიებას გულისხმობს. აღნიშნული კრიტერიუმები საკმაოდ შთამბეჭდავი და მასშტაბურია როგორც ფინანსური, ისე სხვა მაჩვენებლების კუთხით და წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის არსებით პირობებს, რომელთა დაკმაყოფილებაც სახელმწიფოსგან მოეთხოვება კერძო პარტნიორს.

აღნიშნული პირობების დაკმაყოფილება და მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის მთელი ვადის მანძილზე მათი ჯეროვნად შესრულება ყველა კერძო სუბიექტისთვის, კერძო მხარისთვის, კერძო მეწარმისთვის, კერძო ბიზნესისთვის საკმაოდ რთულია, ძალზედ ხშირად კი შეუძლებელი.

განსაკუთრებით რთული განვითარებად ქვეყნებში ადგილობრივი კერძო ბიზნესებისთვის, კერძო მეწარმეებისთვის, კერძო სუბიექტებისთვის.

სწორედ ამიტომ, საჯარო და კერძო თანამშრომლობაში ძირითადი მოთხოვნა ინვესტიციაზე, ხშირად კი უცხოურ კაპიტალზე, უცხოურ კერძო ინვესტიციაზე მოდის. სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას სწორედ კერძო ინვესტიციები წარმოადგენს. ზემოაღნიშნული გარემოებები ნათელყოფს ინვესტიციის მნიშვნელობას და როლს საჯარო და კერძო თანამშრომლობაში.

5.2. საჯარო-კერძო პარტნიორობაში ინვესტიციის

სამართლებრივი მოწესრიგების მნიშვნელობა და

საინვესტიციო სამართლებრივი მექანიზმების განვითარება

ინვესტიციებისა და ინვერსტორთა დაცვის სამართლებრივი და საკანონმდებლო მექანიზმების ჩამოყალიბებას და განვითარებას თავისი ისტორია გააჩნია და შესაბამისი გარემოებები ახლავს. აღნიშნული მექანიზმების განვითარება განაპირობა, ერთი მხრივ, ინვესტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციებისა და მისი საკუთრების დაცვის სამართლებრივი საშუალებების სიმწირემ, ხოლო, მეორე მხრივ, ასეთი საშუალებების ჩამოყალიბების აუცილებლობამ.

საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგება როგორც სპეციალური კანონებით, ისე ქვეყნების კონსტიტუციებით, სამოქალაქო კოდექსებით, სამეწარმეო და სხვა კანონებით ხდება. აქვე გამოყოფილი უნდა იქნეს სპეციალური კანონების როლი. ინვესტიციების შესახებ

სპეციალური კანონები, როგორც წესი ითვალისწინებენ ინვესტიციების განმარტებას, მათ კლასიფიკაციას; უცხოელი ინვესტორების დაცვის მექანიზმებს; ინვესტორთა უფლებებსა და გარანტიებს; საინვესტიციო რეჟიმებს; დამცავ მექანიზმებს ინვესტიციის ჩამორთმევისა და ექსპროპრიაციისა და სხვა საკითხებს.

5.3. ინვესტიციის დაცვის და ხელშეწყობის სამართლებრივი

მექანიზმები

საქართველოში დღეს არსებული საინვესტიციო-სამართლებრივი მექანიზმები ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებიც საჭიროა წარმატებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების რეალიზებისთვის, განსაკუთრებით კი კერძო ინვესტიციებისა და ინვესტორთა, როგორც საჯარო და კერძო თანამშრომლობის მონაწილე კერძო სუბიექტთა, უფლებებისა და ინტერესების დაცვისა და მათი ხელშეწყობისთვის.

ამავდროულად, როდესაც განხილვა მიმდინარეობს საინვესტიციო ურთიერთობების სამართლებრივ მოწესრიგებასა და კერძო უცხოური ინვესტიციების დაცვაზე, განხილულ უნდა იქნეს ინვესტიციისა და ინვესტორის სამართლებრივი განმარტების საკითხი, რათა გამოიკვეთოს უცხო ელემენტის მატარებელი ინვესტორი, როგორც საინვესტიციო ურთიერთობის სუბიექტი.

ინვესტიციის განმარტება ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ორი მნიშვნელოვანი გარემოების გამო. პირველი, ის ქონება და აქტივობები ჩაითვლება ინვესტიციად, რომელიც დააკმაყოფილებს „ინვესტიციის“ განმარტებაში მოცემულ კომპონენტებს და თავის მხრივ, ამ ქონების მესაკუთრე და შესაბამისი აქტივობების განმახორციელებელი პირები

მიიჩნევიან ინვესტორებად. შესაბამისად, მხოლოდ ინვესტორი და მათ მიერ განხორციელებული ინვესტიცია სარგებლობს დაცვისა და ხელშეწყობის იმ სამართლებრივი გარანტიებით, რომლებიც გათვალისწინებულია სპეციალური საკანონმდებლო მექანიზმებით.

მეორე, უცხოელ ინვესტორსა და ინვესტიციების მიმღებ სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავისას, იმისათვის, რომ რიგ შემთხვევებში აღნიშნული დავა განხილული იქნეს საინვესტიციო არბიტრაჟში, თავად დავა უნდა დაკვალიფიცირდეს ისეთ დავად, რომელიც უკავშირდება საინვესტიციო საქმიანობას და წარმოშობილია ასეთი საქმიანობის ფარგლებში.

ინვესტიციის განმარტებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე არ არსებობს ინვესტიციის უნიფიცირებული ცნება, არ არსებობს ინვესტიციის ერთიანი სამართლებრივი განმარტება.

აუცილებელია, რომ „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის ტერმინთა განმარტების ნაწილში გახორციელდეს შესაბამისი ცვლილებები, დაემატოს ახალი ტერმინები და დაზუსტდეს არსებული ფორმულირებები. ასევე, იმისათვის, რომ ინვესტიცია გაიმიჯნოს არასაინვესტიციო, სხვა სახის ეკონომიკური საქმიანობისგან, კანონით უნდა დადგინდეს შესაბამისი გამონაკლისები ინვესტიციის განმარტებიდან, ანუ განისაზღვროს ის გარიგებები, ტრანზაქციები და სხვა აქტივობები, რომლებიც არ ჩაითვლება ინვესტიციად. შესაბამისად, შემოთავაზებული უნდა იქნეს „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონში ინვესტიციის, ინვესტორის, ადგილობრივი ინვესტორისა და უცხოელი ინვესტორის განმარტებების შემდეგი ფორმულირება:

„კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის აქ გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **„ინვესტიცია“** – ნიშნავს უცხოური ან ადგილობრივი კაპიტალის პირდაპირ შენატანს ბიზნესის დასაწყებად ან გასაფართოებლად, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ კონვერტირებადი ვალუტით, ადგილობრივი ვალუტით, მატერიალური ან არამატერიალური ქონებით, უძრავი ან მოძრავი ქონებით, ეროვნული ან უცხოური ფასიანი ქაღალდებით, ფინანსური ინსტრუმენტით, დებიტორული დავალიანებით, მოთხოვნებით ან ფინანსური ღირებულების მქონე ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი საქმიანობით, ლიცენზიით და იჯარით და კომერციული უფლებით ან კონცესიით.

ბ) **„ინვესტორი“** – ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც ახორციელებს ინვესტიციას.

გ) **„ადგილობრივი ინვესტორი“** – ნიშნავს საქართველოს რეზიდენტ ფიზიკურ პირს ან საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომელიც ინვესტიციას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე.

დ) **„უცხოელი ინვესტორი“** – ნიშნავს საქართველოს არარეზიდენტ ფიზიკურ პირს ან საქართველოს ფარგლებს გარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომელიც ინვესტიციას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე“.

ინვესტორის მიზანი და ინტერესი არა მხოლოდ მოგებისა და შემოსავლის მიღებაა, არამედ მისი საკუთრების, აქტივისა და ქონების შენარჩუნება, რომელიც, თავის მხრივ, ამ მოგებისა და შემოსავლის გენერირების წყაროს წარმოადგენს. შესაბამისად, თუ საჯარო და კერძო თანამშრომლობის ჭრილში არ არსებობს ინვესტორის, როგორც ამ თანამშრომლობის მონაწილე კერძო სუბიექტის, ინვესტიციის, მისი ქონებისა და საკუთრების დაცვის მყარი სამართლებრივი საშუალებები და მექანიზმები,

იქ რთულია საუბარი სრულფასოვან საჯარო და კერძო თანამშრომლობაზე.

არაპირდაპირი ექსპროპრიაციისგან ინვესტორის დაცვის დებულებები აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონში, სწორი და სრულყოფილი შინაარსით. ასევე აუცილებელია, რომ ეროვნული კანონით განისაზღვროს მართლზომიერი ექსპროპრიაციის შემდეგი წინაპირობები: აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება, კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევები, სასამართლოს გადაწყვეტილება ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობა და წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურება. შესაბამისად, შემოთავაზებული უნდა იქნეს „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონში აღნიშნული საკითხის სრულყოფის მიზნით შემდეგი შინაარსის სამართლებრივი ნორმები:

**„დამცავი მექანიზმები კომპენსაციის გარეშე ინვესტიციის
ჩამორთმევის წინააღმდეგ**

1. საქართველომ არ უნდა განახორციელოს უცხოელი ინვესტორის ინვესტიციის ექსპროპრიაცია ან ნაციონალიზაცია, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ან მიიღოს ეკვივალენტური შედეგის გამომწვევი ზომები (შემდეგში „ექსპროპრიაცია“), გარდა:

- ა) სახელმწიფო ინტერესებში არსებული მიზნისა;
- ბ) არადისკრიმინაციული საფუძვლისა;
- გ) კანონით განსაზღვრული სათანადო პროცესისა, და
- დ) იმ შემთხვევისა, როცა მას თან ახლავს ფულადი კომპენსაცია ქვემოთ მოცემული მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ან სხვა ქონების გადაცემა, ეკვივალენტური საბაზრო ღირებულების მქონე არაფულადი კომპენსაციის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ფულადი კომპენსაცია უნდა იყოს:

ა) სამართლიანი და გადახდილ უნდა იქნეს სრულად და წინასწარ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) ექსპროპრიაციას დაქვემდებარებული ინვესტიციის უშუალოდ ექსპროპრიაციამდე არსებული სამართლიანი საბაზრო ღირებულების ეკვივალენტური. სამართლიანი საბაზრო ღირებულება არ უნდა ასახავდეს ღირებულების რაიმე ცვლილებას იმის გამო, რომ ექსპროპრიაცია საზოგადოებისთვის უფრო ადრე გახდა ცნობილი;

გ) გადახდილი და თავისუფლად შეიძლებოდა მისი გადარიცხვა ქვეყანაში, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი მოსარჩელის მიერ, იმ ქვეყნის ვალუტით, რომლის მოქალაქეც არის მოსარჩელე, ან მოსარჩელებსა და საქართველოს მთავრობას შორის შეთანხმებული ნებისმიერი თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით.

3. კანონით განსაზღვრული სათანადო პროცესი მოიცავს უცხოელი ინვესტორის უფლებას მოითხოვოს საკუთარი საქმის დროული განხილვა ინვესტიციის შეფასების და კომპენსაციის გადახდის ჩათვლით (საქართველოს მთავრობის მიერ ინვესტორის მიმართ განხორციელებული ექსპროპრიაციის შემთხვევაში) ამ მუხლის დებულებების შესაბამისად, სასამართლო ან საქართველოს მთავრობის სხვა კომპეტენტური და დამოუკიდებელი ორგანოს მიერ“.

დასკვნა და რეკომენდაციები

საჯარო და კერძო თანამშრომლობა სამართლებრივი ურთიერთობების სიმრავლით, კომპლექსურობითა და მრავალშენიანობით ხასიათდება. საჯარო და კერძო თანამშრომლობის გენეზისი აღნიშნული ურთიერთობის მონაწილე მხარეთა მიზნებისა და ინტერესების რეალიზებასა და დაკმაყოფილებასთან არის დაკავშირებული. წარმატებული საჯარო-კერძო პარტნიორობის რეალიზება მოითხოვს როგორც საჯარო, ისე კერძოსამართლებრივ საშუალებებს.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივ და საკანონმდებლო რეგულირებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საკითხს აღნიშნული ურთიერთობის დეფინიციის შესახებ.

იურიდიულ მეცნიერებასა და კანონმდებლობაში არ იყო შემუშავებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის ერთიანი, უნიფიცირებული დეფინიცია, რაც ქმნის მასზე სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობის მიხედვით პრობლემას. კვლევის შედეგად განსაზღვრულ იქნა საჯარო და კერძო თანამშრომლობის შემადგენელი ელემენტები, რომელთა მოშველიებითაც შემუშავებულ იქნა აღნიშნული დეფინიცია. კერძოდ – საჯარო და კერძო თანამშრომლობა წარმოადგენს ურთიერთობას საჯარო და კერძო სექტორს შორის, რა დროსაც გარკვეული მიზნების მისაღწევად საჯარო და კერძო სუბიექტებს შორის წარმოიშობა როგორც საჯარო-სამართლებრივი, ისე კერძო-სამართლებრივი უფლებამოვალეობები. ამავდროულად, მიზანი საჯარო და კერძო სექტორის ასეთი ურთიერთობისა და თანამშრომლობისა არის არაერთგვაროვანი და არაერთმხრივი. თანამშრომლობის მიზანს წარმოადგენს როგორც საზოგადოებრივი (ინფრასტრუქტურული პროექტები, საზოგადოებრივი მომსახურება), ისე კერძო ინტერესის (შემოსავლის გენერირება, მოგების მიღება) დაკმაყოფილება. ასეთი თანამშრომლობა, თავის მხრივ, ხასიათდება მისი ხანგრძლივი ვადით და გამოირჩევა მომეტებული რისკებით, სადაც რისკები მხარეთა შორის ნაწილდება. თანამშრომლობის დაწყება, განსაკუთრებით კერძო სუბიექტის მხრიდან, ეფუძნება ნებაყოფლობითობას.

ნაშრომში შესწავლილ იქნა სხვადასხვა ქვეყანაში საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივი და საკანონმდებლო რეგულირების თავისებურებები, ინსტიტუციური მოწესრიგების ასპექტები და სხვა საკითხები. აღნიშნულ თემებთან და საკითხებთან მიმართებით საქართველოსა და უცხო ქვეყნების შედარებითა ანალიზმა ხელი შეუწყო საქართველოში საჯარო-კერძო პარტნიორობის წარმოშობის,

განვითარების, სამართლებრივი და საკანონმდებლო რეგულირების, ინსტიტუციური მოწესრიგების ტენდენციების და თავისებურებების, მათ შორის ხარვეზების; ასევე, აღნიშნული ურთიერთობის გამოყენების პრაქტიკისა და სახელმწიფო პოლიტიკის წარმოჩენას.

„საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონში, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს კონკრეტული ტერმინებისა და მათი განმარტებების საკითხი. კვლევის შედეგად გამოვლენილია რიგი ხარვეზები ისეთი ტერმინებისა და მათი განმარტებების საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: „საჯარო და კერძო თანამშრომლობა“, „კონცესია“.

ნაშრომში შესწავლილია საჯარო და კერძო თანამშრომლობის განხორციელების სხვადასხვა მოდელი და საშუალება. ნაჩვენებია მათი თეორულ-სამართლებრივი და პრაქტიკული მხარე. გამოვლენილია მათი სამართლებრივი ბუნება. ამ ბუნებათა დაფიქსირება კი ხელს შეუწყობს მათ სამართლებრივ მოწესრიგებულობას, რაც საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივი საშუალებების სწორად გამოყენების საწინდარია.

თანამედროვე საჯარო-კერძო პარტნიორობა საჯარო და კერძო სექტორის კომპლექსური და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობაა, რომლის საგანი არის ისეთი ობიექტები და საქმიანობა, რომელიც მხოლოდ საჯარო ან მხოლოდ კერძოსამართლებრივი მექანიზმებით ვერ წესრიგდება. შესაბამისად, ზემოაღნიშნული მოდელების, როგორც საჯარო და კერძო თანამშრომლობის საშუალებების, იმანენტურობა ხასიათდება როგორც საჯარო, ისე კერძო-სამართლებრივი ელემენტებით.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებებთან და ზოგადად მათ სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით განისაზღვრა, რომ ისინი შერეულ ხელშეკრულებებს წარმოადგენენ. ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების, საბაზრო ეკონომიკის პირობებში კერძო სექტორისთვის ფართო ეკონომიკური და სამეწარმეო საქმიანობის შესაძლებლობების გაჩენის, ეკონომიკის გაჯანსაღებაში მათი ინვესტიციების, ფინანსური თუ სხვა სახის რესურსის ჩართვისა და მოშველიების მიზნით სხვადასხვა ქვეყანაში აქტიურად გამოიყენება საჯარო და კერძო თანამშრომლობის ზემოაღნიშნული მოდელები და აღნიშნული ხელშეკრულებები. აღნიშნულ შემთხვევებში საჯარო და კერძო მხარეთა ურთიერთობის ობიექტების კომპონენტებს ფართო სპექტრი გააჩნია. შესაბამისად, საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებათა საგანს წარმოადგენს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის შესრულება, სხვადასხვა ობიექტის მშენებლობა, კომუნიკაციების მოწყობა, რეაბილიტაცია, სამედიცინო, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამისი მომსახურების გაწევა და სხვა ისეთი საქმიანობა, რომელიც სახელმწიფოს ექსკლუზიურ კომპეტენციას არ განეკუთვნება.

რაც შეეხება „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონს, აღნიშნული კანონის მიხედვით არაკონცესიური საჯარო და კერძო თანამშრომლობა კონცესიისგან, რომლის იმანენტურობა განსაზღვრულია როგორც საჯაროსამართლებრივი ბუნების მატარებელი, განსხვავდება მხოლოდ გადახდის პირობით. კონცესიის შემთხვევაში კონცესიონერის ანაზღაურება ხდება საბოლოო მომხმარებლის ან საჯარო პარტნიორისა და საბოლოო მომხმარებლისგან. ხოლო არაკონცესიური საჯარო და კერძო თანამშრომლობის შემთხვევაში კონტრაქტორის მიერ ანაზღაურების გადახდა ხდება მხოლოდ საჯარო პარტნიორის მიერ. ანაზღაურების გადახდის პირობები კი არ უკავშირდება იურიდიულ კატეგორიებს და ვერ იქნება ამა თუ იმ ხელშეკრულების იურიდიული ბუნების განმსაზღვრელი

ნიშანი, მით უმეტეს, სამართლებრივი ინსტიტუტის იურიდიული ბუნებისა. ესე იგი ჯერ უნდა განისაზღვროს სამართლებრივი ინსტიტუტის დეფინიცია და შინაარსი, ხოლო შემდეგ უნდა დაიდოს მისი შესაბამისი ხელშეკრულება. ამიტომაც მნიშვნელოვანია სამართლებრივი ინსტიტუტის იურიდიული ბუნების ზუსტი კომპონენტების გამოკვეთა, რაც განხორციელებულია ამ ნაშრომში.

ნაშრომში შესწავლილია ინსტიტუციური საჯარო და კერძო თანამშრომლობის, როგორც საჯარო-კერძო პარტნიორობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალების არსი, მისი იმანენტურობა, სამართლებრივი მოწესრიგების თავისებურება. შედარებითი კვლევის საფუძველზე განხილულია საკითხი საქართველოში აღნიშნული თანამშრომლობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შესახებ, წარმოჩენილია მისი პრაქტიკულ-ფუნქციონალური მხარე და დატვირთვა. გამოვლენილია ინსტიტუციური საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივი და საკანონმდებლო რეგულირების ხარვეზები და შეთავაზებულია აღნიშნული ხარვეზების გადაჭრის გზები, რაშიც მოიაზრება ინსტიტუციური საჯარო და კერძო თანამშრომლობის კომპანიაში კორპორაციული მართვის სტანდარტების და პრინციპების დანერგვა.

ნაშრომში შესწავლილია კონცესია, როგორც საჯარო და კერძო თანამშრომლობის განხორციელების ერთ-ერთი საშუალება და კონცესიის ხელშეკრულება, რომელიც კონცესიის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის, გამოხატვის და რეალიზების ფორმაა. განხილულია საქართველოში კონცესიის განვითარებისა და მისი საკანონმდებლო მოწესრიგების ისტორია და დღევანდელი რეალობა. წარმოჩენილია მათი იმანენტურობა, სამართლებრივი ბუნება, შემადგენელი სამართლებრივი ელემენტები, საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფარგლებში მათი ფუნქცია, სამართლებრივი და საკანონმდებლო რეგულირების თავისებურება.

კონცესია და საკონცესიო ხელშეკრულება თავისი არსით გამოხატულებათ საჯარო და კერძო ინტერესის თანხვედრისა და რიგ შემთხვევებში აღნიშნული ინტერესების შეპირისპირებისა. სწორედ ამიტომ, კონცესია და კონცესიის ხელშეკრულება მოიცავდა და დღესაც მოიცავს როგორც საჯარო, ისე კერძო-სამართლებრივ ელემენტებს. ანუ კონცესიის ხელშეკრულების იმანენტურობა როგორც საჯარო, ისე კერძო-სამართლებრივია. ასეთი მოცემულობაა ჩადებული კონცესიის ერთგვარ „გენეზისში“, რომელიც ჯერჯერობით უცვლელია. კონცესიის ხელშეკრულება კი თავისი სამართლებრივი ბუნებითა და არსით ჰომოგენური, თავისებური ტიპის ხელშეკრულებათა, რომელიც ბოლომდე არც ადმინისტრაციულ და არც სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებას მიეკუთვნება.

კონცესიისა და საკონცესიო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების გამიჯვნას, თეორიული მოწესრიგებულობის გარდა, აქვს არსებითი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან საჯარო და კერძო სამართლებრივი მექანიზმები სხვადასხვა საკანონმდებლო გზაზე გადის და განსხვავებულად წესრიგდება მხარეთა უფლება-მოვალეობები, დაცვის საკანონმდებლო გარანტიები, სასამართლო განსჯადობა და დავის სხვა ქვეყანაში განხილვის შესაძლებლობები. ამრიგად, საჯარო და კერძო თანამშრომლობის კერძოსამართლებრივ საშუალებათა რიგში კონცესიის ჩაყენება დამოკიდებულია მისი სამართლებრივი ბუნების გამოვლენაზე.

რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, კონცესია და კონცესიის ხელშეკრულების ბუნება განსაზღვრულია, როგორც საჯარო-სამართლებრივი ბუნების მატარებელი.

ზოგადად, საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფართო სპექტრით გაშლისა და განვითარებისათვის კონცესიის საჯაროსამართლებრივი ბუნება უფრო ეფექტური იქნება, თუ კერძოსამართლებრივი, დამოკიდებულია საქმიანობის პრაქტიკასა და სახელმწიფო პოლიტიკაზე.

მაშინ, როდესაც საკითხი ეხება საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფარგლებში საინვესტიციო ურთიერთობების სამართლებრივ მოწესრიგებასა და კერძო უცხოური ინვესტიციების დაცვას, მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ინვესტიციისა და ინვესტორის სამართლებრივი განმარტების საკითხი, რათა გამოიკვეთოს უცხო ელემენტის მატარებელი ინვესტორი, როგორც საინვესტიციო ურთიერთობის სუბიექტი. რამდენადაც აღნიშნული განმარტებები არ არის სრულყოფილი და მოქმედ კანონმდებლობაში აღნიშნული თვალსაზრისით არის ხარვეზი, ნაშრომში შემუშავებულ იქნა „ინვესტიციის“, „ინვესტორის“, „ადგილობრივი ინვესტორის“ და „უცხოელი ინვესტორის“ განმარტება და შემოთავაზებულია აღნიშნული განმარტებების ფორმულირებები. შესაბამისად, რეკომენდებულია ზემოაღნიშნულ ტერმინებთან და მათ განმარტებებთან გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა, შემუშავებული ფორმულირებების გათვალისწინებით, „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონში საკანონმდებლო ცვლილებების შეტანის გზით.

ინვესტორს, როგორც კერძო სუბიექტს, რომელმაც საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფარგლებში შეასრულა გარკვეული ინფრასტრუქტურული პროექტი, განახორციელა კაპიტალდაბანდება, მიიღო შესაბამისი ობიექტის მართვისა და ოპერირების უფლება, უნდა გააჩნდეს მისი ინვესტიციის ხელშეუხებლობის მყარი გარანტია. ხოლო იქ, სადაც გარდაუვალია ქონების ხელყოფა, უნდა არსებობდეს ინვესტორის ქონებისა და აქტივის ექსპროპრიაციის სამართლებრივი საფუძვლები და ჩამორთმეული ინვესტიციისა და ქონების სანაცვლოდ ინვესტორს უნდა მიეცეს შესაბამისი კომპენსაცია. სწორედ ამიტომ, ექსპროპრიაციისგან ინვესტორის დაცვისა და ექსპროპრიაციის პროცედურების რეგულირების საკანონმდებლო და სამართლებრივ მექანიზმებს განსაკუთრებული ადგილი უკავია საჯარო და კერძო თანამშრომლობაში.

ინვესტიციის ჩამორთმევისა და შესაბამისი კომპენსაციის გადახდის საკითხები გათვალისწინებულია „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონით. თუმცა, იგი არ არის გამართული სტრუქტურულად და ასევე, რაც მნიშვნელოვანია, არ ითვალისწინებს „არაპირდაპირ ექსპროპრიაციას“. რამდენადაც ზემოაღნიშნული საკითხები მოქმედი კანონმდებლობით არ არის სრულყოფილად ფორმულირებული და კანონმდებლობაში აღნიშნული თვალსაზრისით არის ხარვეზი, ნაშრომში შემუშავებულ იქნა მათი შესაბამისი ფორმულირებები. შესაბამისად, რეკომენდებულია აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრა, შემუშავებული ფორმულირებების გათვალისწინებით, „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონში საკანონმდებლო ცვლილებების შეტანის გზით.

Grigol Robakidze University

With the right of manuscript

George Khatidze

**Private Law Mechanisms of Implementation of
Public-Private Partnership**

Educational programme: Law

Thesis is presented for obtaining of the PhD Degree in Law

Abstract

Tbilisi

2021

Grigol Robakidze University

Scientific supervisor: **Mariam Tsiskadze**

Doctor of Law, Professor

The date of the defence will be published on the website of university:
www.gruni.edu.ge

The defense of the dissertation will take place at Grigol Robakidze University at a session of the Certifying Committee of Experts of the School of Law.

The dissertation is available at the library of Grigol Robakidze University, Tbilisi, Irina Enukidze №3 (David Agmashenebeli Alley 13).

Table of Contents

Introduction	41
Chapter I. The Role of Public-Private Partnership and the Importance of its Legal Regulation	43
1.1. The Role and Foundation of Public-Private Partnership	43
1.2. Development of Public-Private Partnership and Aspects of its Legal Regulation in Different Countries	45
1.3. Legal Mechanism for the Implementation of Public-Private Partnership in Georgia	46
Chapter II. Public-Private Partnership Models.....	49
2.1. Understanding and Characteristics of Non-concessional Public-Private Partnership Models.....	49
2.1. Elements of Mixed Contract in Public-Private Partnership...	50
Chapter III. Organizational Aspects of Public-Private Partnership ..	51
3.1. Understanding the Institutionalism of Public-Private Partnership and Importance of Legal Regulation	51
3.2. Entrepreneurial Law Means and Principles of Corporate Governance of Implementation of Public-Private Partnership	52
Chapter IV. Concession as the Means of Realization of Public-Private Partnership	54
4.1. Role and Development of Concession as the Means of Realization of Public-Private Partnership.....	54
4.2. Scope and Legal Nature of Concession Contract.....	55
Chapter V. Investment, as the Legal Mechanism for Implementation of Public-Private Partnership in Georgia	57
5.1. Role of Investment as the Means of Realization of Public- Private Partnership.....	57

5.2. Importance of Legal Regulation of Investment in Public-Private Partnership and Development of Investment Law Mechanisms	58
5.3. Legal Mechanisms for Investment Protection and Promotion	58
Conclusion and Recommendations	62

Introduction

Public-Private Partnership is a public relationship. As other public relationship, Public-Private Partnership requires legal regulation. The development of legislative and regulatory mechanisms for Public-Private Partnership in Georgia has gone through certain stages up to date. However, despite institutional, legislative and legal reforms, the existing legal framework is not coherent and fails to provide comprehensive legal regulation of Public-Private Partnership. The legislative framework lags behind the current level of legal regulation of Public-Private Partnership.

At the same time, despite the fact that many Georgian scholars and lawyers have conducted various works on the legal regulation of Public-Private Partnership, unfortunately the issue has not been studied in depth within the Georgian legal science.

Thus, it is necessary to review and improve the legal means of regulating and ensuring Public-Private Partnership. It is the current situation that has made it necessary to study these means.

The purpose of this research is to study the legal means of realization, provision and regulation of Public-Private Partnership and its legal nature; to identify and investigate the specific legal elements of these means, their legal shortcomings; as well as to develop legislative and legal approaches and solutions that will ensure full and proper realization and regulation of Public-Private Partnership which will be used for a further development of legal science and adopted in practice as an effective instrument. The purpose of the study is not to analyse the legal understanding of traditional institutions provided by the Civil Code.

The task of the research is to define the Public-Private Partnership, identify and analyze its elements; to study and analyze the origin and

development of Public-Private Partnership in different foreign countries, characteristics of its institutional, legal and legislative regulation. To study and analyze the origin and development of Public-Private Partnership in Georgia, the existing legal and legislative regulation, the practice of using legal means, the institutional regulation of Public-Private Partnership and state policy. Carry out a comparative analysis of Georgia and other countries in this regard. To study the legal means of Public-Private Partnership in Georgia, in particular the notion and legal nature of different types of agreements, Institutional Public-Private Partnership, Concession, private investment and investment activities and to make the definitions of relevant institutions.

Public-Private Partnership will be properly realized if innovative scientific approaches and principles are developed, which outline the legal nature of cooperation agreement between public and private entities, enhances the structure of the agreement in order to exclude ambiguous understanding of certain provisions; provides a new understanding of legal definition of investment and investor; creates a basis for developing corporate governance standards and principles in relevant partner companies to balance the rights and obligations of public and private sectors; enhances a legal definition of investment and investor.

Brief Review of the Scientific Literature

During the research, the works of both Georgian and foreign researchers were examined. Studies and other publications by international and other organizations were also reviewed. It should be noted that there are quite few works in Georgian language on the topic. However, works by the following scholars should be outlined: L. Chanturia, T. Ninidze, G. Khubua, b. Zoidze, I. Burduli, z. Gabisonia, G. Tsertsvadze, D. Imnadze, P. Turava, N. Tskepladze, Z.

Sukhishvili, S. Jorbenadze, L. Tsertsvadze, G. Jugeli, N. Bakakuri, G. Kikilashvili, G. Ustiashvili, K. Kokrashvili and the others.

Among the foreign authors, the following should be outlined: R. Dolzer, C. Schreuer, P. Muchlinski, K. Schefer, J. Salacuse, C. Amerasinghe, M. Moses, J. Crawford, M. Riesman, D. Fitch, P. Kelly, D. Bishop, N. Kurisi, I. Kholodkova, D. Zasipkin, M. Boguslowski and others.

Among research papers of international and other organizations, the following should be outlined: Organisation for Economic Co-operation and Development (OECD), United Nations Economic Commission for Europe (UNECE), World Bank, United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD), International Monetary Fund (IMF), Asian Development Bank (ADB), International Centre for Settlement of Investment Disputes (ICSID) and others.

Methodology and Research Description

The basis of this research is general-scientific and private methods: historical, comparative-legal, documentary and others; informative-cognitive, comparative-legal elements are presented; statistical, analytical and logical analysis methods are used.

Chapter I. The Role of Public-Private Partnership and the Importance of its Legal Regulation

1.1. The Role and Foundation of Public-Private Partnership

Public-Private Partnership is a mutually beneficial, shared and quite complex cooperation between the public and private sectors, wherein

the parties have respective rights and obligations towards each other, and requires the existence of appropriate guarantees and responsibilities by the parties. Public-Private Partnership, while taking into account its specificity and elements, is characterized by the multiplicity, complexity and diversity of legal relations, both in theory and in practice. A successful and comprehensive Public-Private Partnership requires both public and private law elements and appropriate legal means for regulating such relationship.

Public-Private Partnership is implemented through various means, in particular, through different types of agreements, Institutional Public-Private Partnerships and Concessions. In addition thereto, the participation and involvement of a private sector in Public-Private Partnerships, in most cases, is not limited to economic, entrepreneurial activities and at the same time represents investment and investment activities.

The definition and interpretation of Public-Private Partnership plays an important role in the legal regulation of Public-Private Partnership. A unified definition of Public-Private Partnership has not yet been developed in the legal sciences and legislation. However, for a proper understanding of Public-Private Partnership, firstly, it is necessary to define the constituent elements of such cooperation and relationship.

Public-Private Partnership means always and only - the relationship between public and private entities, i.e. it is a relationship in which both public and private entities are participating.

Public-Private Partnership contains an element of **Governance**. Public-Private Partnership also includes an element of **Voluntariness**. One party to a Public-Private Partnership is always a private entity which makes the decision to enter into a partnership with the state as a public entity voluntarily and establishes such a partnership for the purpose of generating revenue, financial benefit and profit. Thus,

Revenue Generation is another important element of Public-Private Partnership.

Next important element of Public-Private Partnership is the **Duration** of such cooperation. An element of Public-Private Partnership is also the **Risks** within the partnership and the distribution/allocation of those risks between the parties.

1.2. Development of Public-Private Partnership and Aspects of its

Legal Regulation in Different Countries

Development of Public-Private Partnership in various countries started at different period. In terms of the development of Public-Private Partnership and its legal regulation, countries are characterized by certain aspects. In terms of legislation, there are countries with special laws on Public-Private Partnership. Special laws on Public-Private Partnership are more common in Continental European countries. In some countries there are not special laws on Public-Private Partnership, and such relationship is regulated by other laws, relevant norms, as well as Concessions and various Public-Private Partnership agreements. Institutional Public-Private Partnerships are also found in a number of countries, the formation of which is made in the form of joint ventures involving the public and private sectors. Among the countries which do not have special law on Public-Private Partnership are Australia and the United Kingdom.

In some countries, there are also Institutional Public-Private Partnerships, which are formed in different models and organizational-legal forms, including Joint Venture with the participation of public and private sectors, Joint Stock Company, Limited Liability Company, Limited Liability Partnership, Limited Partnership, and other forms. The list of such countries includes

Germany, Portugal, Spain, Romania, Lithuania, Serbia, Britain, Croatia, Kazakhstan.

Certain features of the legal regulation of Public-Private Partnerships exist in civil law as well as common law countries. Forms of state arrangement should also be considered when discussing the aspects of legal regulation of Public-Private Partnerships. Both, federal laws as well as local regulations are functioning in federal states.

1.3. Legal Mechanism for the Implementation of Public-Private

Partnership in Georgia

A special law on Public-Private Partnership has been in force in Georgia since 2018. However, it should be noted that in several areas, the relationship similar to those envisaged by the certain models of Public-Private Partnership provided by the Law of Georgia on “Public-Private Partnership” is found in practice between public and private sectors much earlier than such law was adopted.

In accordance with the Law of Georgia on “Public-Private Partnership”, Public-Private Partnerships are implemented through Concessions, Institutional Public-Private Partnership, Non-concessional Public-Private Partnerships, relevant models and agreements.

According to the Law of Georgia on “Public-Private Partnership”, one of the key issues thereof is the definition of Public-Private Partnership. The Law of Georgia on “Public-Private Partnership”, in terms of terminology, effectively equates Public-Private Partnership with a public-private partnership project and offers such a definition of Public-Private Partnership, which is fragmented in various provisions of the Law of Georgia on “Public-Private Partnership” and which also provides certain elements of such relationship. The

specific terms, their definitions and places thereof, are misused. This approach is incorrect - both from a legal-theoretical as well as from a practical point of view; and it doesn't comply with the requirements of legal technique and the best international practice regarding the preparation and adoption of laws on public-private partnership.

The aforementioned approach cannot be considered as a technical shortcoming as the issue concerns primarily the definition of Public-Private Partnership as a specific and complex legal relationship. Especially considering the fact that there is no unified definition of that term and the countries where special laws on Public-Private Partnership apply, try to define this term as clearly as possible.

There is another issue herein regarding the definitions outlined in the Law of Georgia on "Public-Private Partnership". According to the Law of Georgia on "Public-Private Partnership", Concession is one of the means of realization of Public-Private Partnership. Concession (**concessio**) generally means the permit, the right to exploit certain industrial facilities, the right to develop minerals. As for the Law of Georgia on "Public-Private Partnership", the shortcoming of definition of Concession and concession agreement lies in the fact that the definition does not reflect the legal nature and immanence of Concession as an independent legal institution having a long history. The existing definition actually refers to the contractual terms of the concession relationship, such as the subject matter of the contract (public objectives), the terms of the payment (reimbursement mechanism), and certain obligations of one of the parties (operating and other risks).

One of the important issues, within the framework of Public-Private Partnership, relates to the existence of risks within such relationship and the mechanisms of risk allocation between public and private partners. In this regard, the Law of Georgia on "Public-Private Partnership" and the "Rules for the Development and

Implementation of Public-Private Partnership Projects" provide for certain guidelines.

Although the Law of Georgia on "Public-Private Partnership" proposes a mechanism for the optimal allocation of risks as a principle which is valid in its essence, the main shortcoming herein relates to the definition of risks and their identification. Risk management and allocation thereof requires a complex approach, wherein in addition to special law, other legislative and legal mechanisms are also needed. However, at the same time, a special law - the Law on "Public-Private Partnership" – should define and identify risks. It is quite difficult to define and identify all types of risks by the law, but it is better not to focus only on fiscal risks and refer to other risks as well, at least at the minimal level, which are more typical for those sectors and areas where Public-Private Partnership has a prospect for its development in Georgia and have relevant priorities, as well as distribute equally between all models of realization of Public-Private Partnership outlined by the Law of Georgia on "Public-Private Partnership". Such approach should be considered necessary and important, especially in Georgia, as the Public-Private Partnership is still in its early stage of development. The special law is the main guiding mechanism for potential investors, which offers them the main and important legal mechanism in terms of legislative and legal regulation of Public-Private Partnership.

The Law of Georgia on "Public-Private Partnership" recognizes Institutional Public-Private Partnership, which according to the law is carried out through an Institutional Public-Private Partnership Company. In accordance with the Law of Georgia on "Public-Private Partnership", Institutional Public-Private Partnership Company is a legal entity established with the participation of public and private sector, for specific purposes and in accordance with the Law of Georgia on "Entrepreneurs".

The Law of Georgia on “Public-Private Partnership” and the “Rules for the Development and Implementation of Public-Private Partnership Projects” is vague regarding the types and organizational-legal forms of Public-Private Partnership Companies. Generally, the law on Public-Private Partnerships being in force in many countries, directly specifies the types of Institutional Public-Private Partnership Companies and their organizational-legal forms. Such an approach gives more legal clarity and transparency to a special law, which is not the case in terms of Georgia.

Chapter II. Public-Private Partnership Models

2.1. Understanding and Characteristics of Non-concessional Public-

Private Partnership Models

In addition to Concession and Institutional Public-Private Partnership, modern Public-Private Partnerships are realized through various models and means, which are regulated by relevant agreements.

Determination of the scope of the agreement of relevant models of Public-Private Partnership depends on the relationship and elements, provided by such model itself. Implementation of those models within the Public-Private Partnership creates quite complex and multi-pillar legal relations between the parties. The distinguishing elements of those models are the right to own the property; obligation to invest and make a capital contribution; allocation of risks; as well as term of the agreement.

The following models and agreements are as follows: **Build-Operate-Transfer (BOT)**; **Build-Own-Operate-Transfer (BOOT)**; **Design-Build-Finance-Operate (DBFO)**; **Build-Own-Operate (BOO)**.

Modern Public-Private Partnership is a complex and mutually beneficial cooperation between the parties of such partnership. The subject-matter of this relationship is objects and activities that cannot be regulated only either by public or private legal mechanisms. Therefore, notion of the aforementioned models is characterized by both – public, as well as private law elements.

